

არმიის პროექტი - მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბება

ლიდერის ჩამოყალიბების პროცესში მტკიცე ხასიათის ფორმირების
ინტეგრირება

არმიის სანდო პროფესიონალების საერთო იდენტობის გაძლიერება

ჩვენს ლიდერებს არ სჭირდებათ სხვების მიერ წახალისება, ისინი თვითონ გაიგნებენ გზას და მაქსიმალურად გამოავლენენ ინიციატივას... ექნებათ კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები... და მტკიცე ხასიათი. ამგვარად, ბრძოლის დროს, ძლიერი სტრესის პირობებში, როდესაც ზემდგომთა კონტროლის ქვეშ არ იქნებიან, ისინი მორალურად და ეთიკურად გამართლებულ არჩევანს გააკეთებენ.

გენერალი მარკ ა.მილი, არმიის შტაბის უფროსი

28 აგვისტო, 2017

არმიის ეთიკა

არმიის არსი

არმიის ეთიკა მოიცავს იმ მორალურ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ვხელმძღვანელობთ გადაწყვეტილებების მიღებისა და მოქმედების დროს, როდესაც ვცდილობთ დასახული მიზნის მიღწევას: კონსტიტუციისა და ჩვენი ცხოვრების წესის მხარდაჭერასა და დაცვას. არმიის ეთიკის მიხედვით ცხოვრება ორმხრივი ნდობის საფუძველია, როგორც ერთმანეთთან, ისე ამერიკელ ხალხთან ურთიერთობისას. დღესდღეობით, ჩვენი ეთიკა ამერიკელებსა და არმიის კულტურაში გავრცელებულ კანონებში, ღირებულებებსა და საერთო პრინციპებში გამოიხატება. არმიის ეთიკა მოტივაციას გვმატებს ჩვენ, არმიის ჯარისკაცებსა და სამოქალაქო პირებს, რომლებიც ერთად ვცდილობთ არმიის ამოცანის განხორციელებას. ეს ყველაფერი ნათლად არის ასახული ჩვენს ისტორიულ და შთამაგონებელ სლოგანში: **ჩვენ მას დავიცავთ.**

არმიის ეთიკის მიხედვით ცხოვრება ჩვენი, როგორც არმიის სამხედრო პირების - საპატიო მოსამსახურეების, არმიის ექსპერტებისა და არმიის ღირებულებების დამცველების - საერთო იდენტობას შთაგვაგონებს.

არმიის სანდო პროფესიონალები არიან

ქვეყნის საპატიო მოსამსახურე პირები - მტკიცე ხასიათის

მქონე პროფესიონალები

ჩვენ, არმიის ეთიკის დაცვით, პატიოსნად ვემსახურებით სამოქალაქო ხელისუფლებას და ვემორჩილებით ქვეყნის კანონებსა და ლეგალურ ბრძანებებს; ამასთან, ჩვენ შეტყობინებას ვაგზავნით და უარს ვამბობთ ყველა არალეგალური, არაეთიკური ან ამორალური ბრძანების ან მოქმედების შესრულებაზე.

ჩვენ გვეამაყება, რომ ერთად, პატიოსნად ვემსახურებით ქვეყანას და ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტში ვავლენთ მტკიცე ხასიათს.

ომიანობისა და მშვიდობიანობის დროს, ჩვენ ვაღიარებთ ყველა ადამიანის ღირსებასა და სიდიადეს და პატივისცემით ვეპყრობით მათ.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ მაგალითებით და ვავლენთ სიმამაცეს იმის დაცვაში, რაც სწორად მიგვაჩნია, რისკის, გაურკვევლობისა და შიშის მიუხედავად; ჩვენ დაუფარავად ვუზიარებთ ჩვენს პროფესიულ მოსაზრებებს ჩვენს ქვემდგომებს, თანასწორებსა და ზემდგომებს.

არმიის ექსპერტები - კომპეტენტური პროფესიონალები

ჩვენ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობებს, ვიცავთ დისციპლინას სხვების მართვისას და ზემდგომთა მითითებების შესრულებისას, ვილტვით სრულყოფილებისკენ, სხვის საჭიროებებს საკუთარზე მაღლა ვაყენებთ და ამოცანასაც, როგორც ერთი გუნდი, ისე ვახორციელებთ.

ამოცანის შესრულებისას, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მიზნის მისაღწევად შეიძლება საჭირო გახდეს საკუთარი სიცოცხლით გარისკვა და ასევე, სხვათა სიცოცხლის ხელყოფაც.

ჩვენ მუდმივად ვიმდიდრებთ გამოცდილებას არჩეულ პროფესიაში. ამისათვის კი, სიცოცხლის ბოლომდე ვსწავლობთ, ვზრუნავთ პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

არმიის სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეთა
ღირებულებების დამცველები -
თავდადებული პროფესიონალები

ჩვენ ვაღიარებთ და ვიცავთ არმიის ღირებულებებსა და პროფესიულ სტანდარტებს, ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენს გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე ერთმანეთისა და ამერიკელი ხალხის წინაშე.

ჩვენ გონივრულად ვიყენებთ ჩვენზე მონდობილ რესურსებს, ძალისხმევას არ ვიშურებთ იმისთვის, რომ ჩვენი არმია სწორად იმართდებოდეს და კარგად იყოს მომზადებული, ამავდროულად, ვზრუნავთ ჯარისკაცებზე, არმიაში მომსახურე სამოქალაქო პირებსა და მათ ოჯახებზე.

ჩვენ მუდმივად განვამტკიცებთ არმიის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის მთავარ თვისებებს, ვზრდით ნდობას როგორც ერთმანეთს, ისე ჩვენსა და ამერიკელ ხალხს შორის.

ლიდერობის საფუძველი მტკიცე ხასიათია.

გენერალი ალექსანდრე მ., „სენდი“ ფეთჩი

ფიქრები ლიდერობაზე

სამხედრო მიმოხილვა, დეკემბერი 1943.

რატომ ვანიჭებთ მტკიცე ხასიათს დიდ
მნიშვნელობას

მარტივად რომ ვთქვათ, აშშ-ს არმიას უნდა შეეძლოს ჩვენი ქვეყნის ომებში სწორი სტრატეგიით ბრძოლა და მათი მოგება. ჩვენი თანასწორი და თითქმის თანასწორი მოწინააღმდეგეები ჩვენს ტრადიციულ ძლიერ მხარეებში გვეჯიბრებიან - ჰაერში, ხმელეთზე, ზღვაზე, კოსმოსში, კიბერსივრცესა თუ საინფორმაციო გარემოში. მომავალი მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციები

ჰიპერაქტიული, გაცილებით ლეტალური იქნება, ამიტომ დაუშვებელია მათთან მოუმზადებლად შეხვედრა. ქვედანაყოფებს რთულ რელიეფზე მოუწევთ მოქმედება, ეს შეიძლება მოხდეს მოსახლეობაში ან მოსახლეობებს შორის, საკომუნიკაციო ქსელისა და მომარაგების მარშრუტებისგან შორს, ვითარების ამსახველი ზუსტი სურათის დანახვის გარეშე. ომის ხასიათის ცვალებადობა ახალი ეთიკური გამოწვევების წინაშე დაგვაყენებს. მათთან გასამკლავებლად სამხედრო საქმის პროფესიონალები დაგვჭირდება, რომლებიც ბრძოლის ქაოსში დისციპლინურ ჩარჩოებში მოქცეული ინიციატივის წარმატებით გამოყენებას შეძლებენ. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ამ გამოწვევების წინასწარ განსაზღვრა და მათ დასახვედრად მომზადება.

მსხვილმასშტაბიან, მრავალდომინანტიან საბრძოლო გარემოში წარმატების მიღწევა ისეთ ლიდერებზეა დამოკიდებული, რომლებსაც ნამდვილად შეუძლიათ ამოცანით მართვის პრინციპების გამოყენება. ამოცანით მართვა, როგორც სინქრონიზებისა და ინტეგრირების ხელშემწყობი საბრძოლო ფუნქცია, ორმხრივ ნდობას მოითხოვს, ნდობისთვის კი მტკიცე ხასიათია საჭირო.

ეს არის ამოცანით მართვის მთავარი არსი. ყველაფერი დოქტრინაში აღნიშნულ ერთ სიტყვაზე, არმიის ეთიკის ქვაკუთხედზე, ნდობაზეა დაფუძნებული. მე გენდობი და მჯერა, რომ შენ მიზანს ეთიკური, იურიდიული და მორალური პრინციპების დაცვით მიაღწევ... და სწორედ ეს არის უმაღლესი დონის მტკიცე ხასიათი.

გენერალი მარკ ა. მილი, არმიის შტაბის უფროსი

ამერიკის სამხედრო ისტორიაში საყოველთაოდ არის აღიარებული ჩვენს ჯარისკაცებსა და არმიის სამოქალაქო პირებში მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბებისა და გაძლიერების საჭიროება. გენერალ ჯორჯ ვაშინგტონის ხედვამ ამერიკული არმიის ბუნებასთან დაკავშირებით სწორ გზაზე დაგვაყენა. 1776 წლის კონგრესისადმი მიწერილ წერილში ის წერდა: „თუ... სათანადოდ მოვეპყრობით და სიფრთხილეს გამოვიჩინთ... (და ახალწვეულებში მტკიცე ხასიათს უფრო დავაფასებთ, ვიდრე მათ რაოდენობას, მალე მივიღებთ ისეთ არმიას, რომელსაც ნებისმიერი სირთულის გადალახვა შეეძლება)“.

ჩვენი რესპუბლიკის დაარსებიდან დღემდე, ჩვენს ჯარისკაცებსა და არმიაში მომსახურე სამოქალაქო პირებში მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბება კვლავ ინარჩუნებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი გარდაუვალი სირთულეების გადალახვისთვის. არმიის სანდო პროფესიონალები, რომლებიც მტკიცე ხასიათით, კომპეტენტურობითა და საქმისადმი თავდადებით გამოირჩევიან, ერთიანი გუნდური მუშაობის მოტივაციას ქმნიან, რაც ურთიერთნდობაზეა დაფუძნებული; ისინი მუდმივად ცდილობენ ვითარებაში გარკვევას; არმიის ეთიკის დაცვითა და ლიდერის ჩანაფიქრის გათვალისწინებით, იჩენენ დისციპლინურ ჩარჩოებში მოქცეულ ინიციატივას; მიდიან გონივრულ რისკზე; და მოქმედებენ ამოცანაზე მორგებული ბრძანებების მიხედვით.

მტკიცე ხასიათს გამოვლენა

ამგვარად, რა არის მტკიცე ხასიათი? როგორც პროფესიულ თვისებას, როგორ განვსაზღვრავთ და გამოვარჩევთ მას? არმიის დოქტრინაში მტკიცე ხასიათი ახსნილია, როგორც „ადამიანის ნამდვილი ბუნება, რაშიც გაერთიანებულია იდენტობა, საკუთარი დანიშნულების შეგრძნება, ღირებულებები, ღირსებები, მორალი და სინდისიერება“. არმიის ლიდერობის დოქტრინა 6-22, კი მტკიცე ხასიათს განმარტავს, როგორც „მორალურ და ეთიკურ თვისებებს“, რომლებიც გვეხმარება, განვსაზღვროთ, რა არის სწორი და მოტივაციას გვაძლევს შესაბამისი მოქმედებისთვის. კონკრეტულად, ოპერატიულ კონტექსტში, მტკიცე ხასიათი არის „არმიის სამხედრო მოსამსახურის წვლილი და თავდადება არმიის ეთიკის დასაცავად, რაშიც არმიის ღირებულებებია გაერთიანებული და რომელიც სრულად აისახება გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში“.

არმიის ლიდერად ჩამოყალიბების სტრატეგიის მიხედვით არმიის სანდო სამხედრო და სამოქალაქო პირები ის ადამიანები არიან, რომლებიც სწორი გზით ახორციელებენ ამოცანას. სტრატეგიაში წერია, რომ ლიდერად ჩამოყალიბებას სამი მნიშვნელოვანი რამ უწყობს ხელს, ესენია - განათლება, წვრთნა და გამოცდილება. ამრიგად, მტკიცე ხასიათის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც თანმიმდევრულ და პროგრესულ განათლებასთან, წვრთნასთან და

გამოცდილებასთან ერთად, აძლიერებს არმიის სანდო პროფესიონალების დამოკიდებულებას - განუხრელად დაიცვან არმიის ეთიკა და იცხოვრონ მისი ღირებულებების მიხედვით, რაც ყოველთვის აისახება მათ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში.

ამრიგად, არმიის პუბლიკაციებში არ არის აღნიშნული კონკრეტული მოქმედებები, რომელთა მიხედვითაც მთელი შეიარაღებული ძალების მასშტაბით, სამხედრო და სამოქალაქო პირებს მტკიცე ხასიათის მქონე ლიდერებად ჩამოაყალიბებენ და შეაფასებენ. აქედან გამომდინარე, არმიას არ გააჩნია მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბებისა და შეფასების ზოგადი მიდგომა (ლიდერის ჩამოყალიბების პროცესში).

2016 წლის 19 აპრილს გამოცემულ არმიის თეთრ წიგნში - „მტკიცე ხასიათის განვითარება არმიის სანდო პროფესიონალებში: გზის გაკვლევა“ (<http://cape.army.mil/character-development-white-paper/>) – აღნიშნული სიცარიელის შევსებას შეეცადნენ. ამ დოკუმენტში აღწერილია მტკიცე ხასიათის განვითარების წინაპირობები, არსი და დატვირთვა, ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტები, ვარაუდები და წარუმატებლობასთან დაკავშირებული რისკები.

წინამდებარე თეთრ წიგნში მითითებულია, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მტკიცე ხასიათის ფორმირება ლიდერად ჩამოაყალიბების პროცესის განუყოფელ ნაწილად ვაქციოთ. აქ აღწერილია, რა არის სასურველი და რა - დაგეგმილი, როგორი ინიციატივის (იხ.დანართი B) გამოჩენაა საჭირო არსებული ხედვის პრაქტიკაში გასატარებლად. ეს არ გახლავთ დღევანდელი ვითარების განხილვა ან შეფასება, არც ფორმულა ცალკეული პირებისა თუ ორგანიზაციებისთვის, როგორ განავითარონ ან შეაფასონ მტკიცე ხასიათი.

მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბების საფუძველი

კვლევამ ცხადჰყო, რომ მტკიცე ხასიათი მრავალგანზომილებიანია და სხვადასხვა დისციპლინასა და სამეცნიერო დარგზეა დაფუძნებული. ადამიანის ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური განვითარების შემსწავლელი მეცნიერებებით

მტკიცდება, რომ ჩვენი ნამდვილი ხასიათი ჩვენს პიროვნებასთან ერთად ყალიბდება.

ჩვენს გენეტიკურ ფაქტორებს, რომლებიც ჩვენს ვინაობას განსაზღვრავს, თანდათან ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და ბიოლოგიური გავლენები ემატება. მორალური ფსიქოლოგიის დარგში გამოქვეყნებული უახლესი ნაშრომები ხაზს უსვამს კულტურისა და სოციალური კლიმატის მნიშვნელოვან ზემოქმედებას ჩვენს გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე.

პატიოსნების, გულწრფელობის, ღირსეულობის, თავმდაბლობის, დახმარებისთვის მზადყოფნისა და სხვა თვისებების ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორებს ჩვენი ოფიციალური თუ არაოფიციალური განათლება, წვრთნა და გამოცდილება წარმოშობს. პიროვნული განვითარების ეს პროცესები სოციალურ გარემოში მიმდინარეობს, რადგან „არც კაცი და არც ქალი ცალკე კუნძული არ არის“. გარემოს ზემოქმედებამ შეიძლება ზნეობრივი ქცევა განამტკიცოს, მაგრამ ამავედროულად, მან შეიძლება მორალურად გაუმართლებელი და არაეთიკური საქციელის ჩადენასაც შეუწყოს ხელი. კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები სულაც არ არიან თავიანთი გარემოს დაუცველი მსხვერპლნი. მცდარია შეხედულება, რომ ამორალური და არაეთიკური ქცევა მხოლოდ იმ ადამიანებს (ე.წ. „დამპალ ვაშლებს“) ახასიათებთ, რომლებსაც არ გააჩნიათ მტკიცე ხასიათი და არ ექცევიან გარემოს (ე.წ. „ვაშლების კალათის“) მკვეთრი გავლენის ქვეშ. კვლევითა და ემპირიული ფაქტებით მტკიცდება, რომ ვაშლებზეც და კალათზეც ერთნაირად უნდა ვიფიქროთ.

პოზიტიური ფსიქოლოგიისა და ადამიანის განვითარების კუთხით გამოვლენილმა სხვა ფაქტებმა აჩვენა, რომ ჩვენ გარემოში არსებული რესურსებისგან სარგებლის მიღების უნარი გაგვაჩნია. ჩვენ შეგვიძლია, სწრაფად აღვიდგინოთ სულიერი და ფიზიკური ძალები, გავზარდოთ მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა. ამასთან, მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს სულიერება, რაც პერსონალურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და რელიგიურ სწავლებებზე თუ რწმენაზეა დაფუძნებული. საბოლოოდ, თითოეული ჩვენგანი ცხოვრების გზაზე მხოლოდ მისთვის განკუთვნილ, უნიკალურ გზას გადის და ჩვენი გამოცდილებების კუმულაციური ეფექტების

გავლენის ქვეშ ექცევა. ამრიგად, ჩვენი ხასიათი მრავალი ინტერაქტიული ცვლადის პროდუქტია.

ამ ყველაფრის საფუძველზე, ჩვენ ვაცობიერებთ, რომ სამხედრო და ჯარში მომსახურე სამოქალაქო პირების მტკიცე ხასიათი წლების განმავლობაში ყალიბდებოდა, რამაც ისინი შეიარაღებულ ძალებში გაწევრიანების გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. შესაბამისად, არმიისთვის, მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბება იწყება იქ, სადაც ხდება ამერიკის მოქალაქეებისა და სხვა უფლებამოსილი მოხალისეების მიზიდვა და შერჩევა, რომლებიც ღირსეულად აღასრულებენ დადებულ ფიცს. მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბების პროცესი ჯარში ჩვენი სამსახურის პარალელურად მიმდინარეობს.

მტკიცე ხასიათზე მოქმედი ფაქტორების გაცნობიერების გარდა, ლიტერატურაში არ არსებობს ერთნაირი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გაკეთდეს განათლების, წვრთნისა და გამოცდილების მიღების პრაქტიკაში ისეთი, რაც შთააგონებს, წახალისებს და საშუალებას მისცემს ადამიანებს, რომ ეთიკურად გამართლებული გადაწყვეტილებები მიიღონ და შესაბამისად იმოქმედონ.

არმიაში მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბების ზოგადი მონახაზი

ზემოაღნიშნული კონსენსუსის არარსებობის გამო, არმიის ჩანაფიქრი, კულტურის, კლიმატისა და იდენტობის ფრთხილი ინტეგრირების საშუალებით, მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ნელ-ნელა იმკვიდრებს ადგილს. ეს მონახაზი არის რელაციური განვითარების სისტემის პრაქტიკული გამოხატულება, რომელიც უზრუნველყოფს არმიის, როგორც ინსტიტუტის, მისი ქვედანაყოფებისა და პერსონალის ურთიერთმხარდაჭერი და ურთიერთდამოკიდებული ეფექტების კოორდინირებას.

როგორც ქვემოთ მოცემულ ნახაზზეა აღწერილი, არმიაში მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბების ზოგადი მონახაზი არის არმიის ლიდერის ჩამოყალიბების

სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგია დანერგილია ჯარის ეთიკის დაცვით და სინქრონიზებულია ხელმძღვანელობის ყველა დონეზე, იქნება ეს სტრატეგიული, ორგანიზაციული თუ უშუალო დონე. არმიის ლიდერის ჩამოყალიბების სტრატეგია და არმიის ეთიკა არმიაზე, როგორც ინსტიტუტზე, ისე ვრცელდება. მისით იმართება არმიაში არსებული ყველა ორგანიზაცია. ის გავლენას ახდენს ჯარისკაცებისა და სამოქალაქო პირების განვითარებაზე, მთელი შეიარაღებული ძალების მასშტაბით.


არმია, როგორც ინსტიტუტი, მისი სტრატეგიული ლიდერების გადაწყვეტილებებითა და მოქმედებებით, პასუხისმგებელია ახალწვეულთა მიღებაზე, პოლიტიკური დირექტივების, წესების, კონცეფციების, სტრატეგიების, დოქტრინისა და პროგრამების შემუშავებაზე, ისევე როგორც განათლებასა და სისტემებზე. ეს პროცესები გამჭვირვალე უნდა იყოს ყველასთვის და თანხვედრაში მოდიოდეს არმიის ეთიკის პრინციპებთან. სტრატეგიული ლიდერები, როგორც არმიის ღირებულებების დამცველები, ამაღლებენ ჯარში ნდობის კულტურას, ქმნიან საზოგადო ატმოსფეროს, რომელიც მხარს უჭერს პროფესიული ორგანიზაციული კლიმატის შექმნას, ასევე ჩვენი საერთო იდენტობის არსებობასა და გაძლიერებას.

არმიის ორგანიზაციებს, დეპარტამენტებს, სარდლობებს, სკოლების, საწვრთნელი ცენტრებისა და ტაქტიკური ქვედანაყოფების ჩათვლით, ორგანიზაციის ლიდერები მართავენ, რომლებიც ქმნიან და ინარჩუნებენ პროფესიულ კლიმატს, სადაც ყველა მოწოდებულია, დაიცვას არმიის ეთიკა ამოცანით მართვის პრაქტიკაში. ორგანიზაციის ლიდერები ცდილობენ, ინსტრუქტაჟს, წვრთნასა და გამოცდილებას თანმიმდევრული, პროგრესული განვითარება და მზადყოფნის დონის ამაღლება მოჰყვეს. ისინი პასუხს აგებენ ამოცანის სწორი გზით განხორციელებაზე.

თითოეული ჩვენგანი, როგორც უშუალო ლიდერი და მიმდევარი, პასუხს აგებს ჩვენი საერთო იდენტობის შენარჩუნებაზე. ჩვენ არასოდეს ვწყვეტთ სწავლასა და განვითარებას. ჩვენ მონდომებით განვიხილავთ და განვსაზღვრავთ მიზნებს, ვიღებთ ჩვენი ქმედებების პროფესიულ შეფასებას. ეფექტური წვრთნა, დირექტივები და მენტორობა გვეხმარება წინ წავიწიოთ ჩვენს კარიერულ გზაზე.

კარიერის დასრულებამდე, როგორც მუდმივი ჯარისკაცები, თავდადებით ვემსახურებით ჩვენს საზოგადოებასა და ოჯახებს.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მონახაზის წარმატებით დანერგვა ხელმძღვანელობის ყველა დონეზე, ურთიერთმხარდამჭერ და ურთიერთდამოკიდებულ პასუხისმგებლობებს ემყარება. სტრატეგიული ლიდერები გამჭვირვალე პოლიტიკასა და პრაქტიკას ნერგავენ. ორგანიზაციის ლიდერები ამოწმებენ, რამდენად აკმაყოფილებენ პროფესიულ გარემოში დაწესებულ სტანდარტებს. უშუალო ლიდერები პირადად ასრულებენ და მიჰყვებიან არმიის ეთიკას. ისინი შთააგონებენ, ასწავლიან, წვრთნიან, რჩევებს უზიარებენ, მაგალითს აძლევენ და ზრუნავენ ქვემდგომთა მზადყოფნასა და ძალების აღდგენა-შენარჩუნებაზე.



საბოლოო მიზანი: არმიაში ლიდერის ჩამოყალიბების სტრატეგიის დანერგვა არმიის ეთიკის დაცვით მიმდინარეობს. მისი წყალობით ქვეყანას ჰყავს სანდო სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მტკიცე ხასიათით, კომპეტენციითა და საქმისადმი თავდადებით გამოირჩევიან. ისინი მონდომებით და პატიოსნად ასრულებენ ქვეყნის წინაშე დადებულ სამხედრო ფიცს.

არმიაში ლიდერის ჩამოყალიბების სტრატეგია და არმიის ეთიკა არმიას, როგორც ინსტიტუტს ისე ერგება. მათით ხელმძღვანელობს არმიის ყველა ორგანიზაცია. ის ხელს უწყობს სანდო პროფესიონალების მომზადებას მთელი ტოტალური ძალის (რეგულარული არმია, არმიის რეზერვი და ეროვნული გვარდია) მასშტაბით. ლიდერის პასუხისმგებლობებში შედის ნდობის კულტურის გაძლიერება, არმიის ორგანიზაციებში პროფესიული კლიმატის შექმნა და შენარჩუნება, ჩვენი, როგორც არმიის სანდო მოსამსახურეების, საერთო იდენტობის აღიარება და განმტკიცება. ამგვარად, ხელმძღვანელობის თითოეულ დონეზე, პასუხისმგებლობები ურთიერთმხარდამჭერი და ურთიერთდამოკიდებულია. ნებისმიერი დონის ლიდერზე გავლენას ახდენს არმიის კულტურა, მისი ორგანიზაცია და საერთო იდენტობა. იმისათვის, რომ ყველა ლიდერს მტკიცე ხასიათი ჩამოუყალიბდეს, პირველ რიგში, კუთვნილი პასუხისმგებლობების გაცნობიერება და მიღებაა საჭირო.

ნდობის კულტურა არმიაში - სტრატეგიული ლიდერები

არმია, რომლებიც კონგრესის მიერაა შექმნილი, აშშ-ს მთავრობის სამხედრო დეპარტამენტს წარმოადგენს. ის მოიცავს კომპონენტებს, სპეციალისტ-პრაქტიკოსთა გაერთიანებებსა და პერსონალის კოჰორტებს. ჩვენმა გვარეობებმა, დიდმა სარდლობებმა და ოპერატიულმა ქვედანაყოფებმა უნიკალური ჩვევები და კარგი მანერები გამოიმუშავეს. თითოეულ მათგანს თავისი ისტორია, წარმოშობა და ტრადიციები აქვს. ორგანიზაციის ხასიათსა და საერთო სულისკვეთებას ნათლად ასახავს არტეფაქტები, სიმბოლოები და ცერემონიები. შედეგად, არმიის კულტურა, როგორც იმ ქვეყნის კულტურა, რომელსაც ვემსახურებით, კულტურათა კულტურას წარმოადგენს. ჩვენ „ერთი, განუყოფელი არმია“ ვართ, რომელსაც საერთო მორალური დანიშნულება, იდენტობა, სულისკვეთება და ნდობის შეუცვლელი კულტურა აერთიანებს.

არმიის კულტურაზე გავლენას ახდენენ სტრატეგიული ლიდერები. საკუთარი მაგალითის ჩვენება ერთ-ერთი მთამბეჭდავი გზაა სტრატეგიული ლიდერებისთვის ტოტალური ძალის (რეგულარული არმია, რეზერვი და

ეროვნული გვარდია) სამართავად. როცა ლიდერები თავიანთი მოქმედებით ყველას აჩვენებენ, რა არის სწორი, ამით ისინი სტანდარტებს აწესებენ, სხვებს პატიოსანი მსახურებისკენ მოუწოდებენ, საქმისათვის თავდადებას აფასებენ და საერთო სულისკვეთებას ამაღლებენ. როდესაც სტრატეგიული ლიდერები მუდმივად იცავენ არმიის მორალურ პრინციპებს, ამით ზრდიან მათდამი ამერიკელი ხალხისა და სამხედრო კონტიგენტის ნდობას. ბრძოლის ველზე ღირსეული გამარჯვებისთვის, ჩვენი ქვეყნისა და ცხოვრების წესის დასაცავად, დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქმედო არეალის გარე და შიდა ნდობას.

სტრატეგიული ლიდერები უზრუნველყოფენ ინსტიტუციურ განათლებას, სამხედრო პროფესიონალიზმის გასაზრდელად. ისინი იცავენ რესურსებს და სახავენ პრიორიტეტებს საშუალებებისა და ინფრასტრუქტურის, იარაღებისა და აღჭურვილობის, მომარაგებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის, ცოცხალი ძალისა და ბიუჯეტისთვის. ისინი აწესებენ სამხედრო სამსახურში გაწვევისა და იქ სამოქალაქოების დანიშვნის მიზნებსა და პროცედურებს. მათი პოლიტიკა მართავს არმიის მთელი პერსონალის ყოველდღიურ ცხოვრებას. მის საფუძველზე იქმნება ისეთი პროგრამები, რომლებიც სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე ზრუნავენ. ამ ფორმით, სტრატეგიული ლიდერების გადაწყვეტილებები და მოქმედებები ქმნიან არმიის კულტურას. ამასთან, ორგანიზაციის და უშუალო ლიდერებს მხოლოდ იქ შეუძლიათ ამოცანით მართვით სარგებლობა, სადაც ნდობის კულტურაა.

ორგანიზაციის პროფესიული კლიმატი - ორგანიზაციის ლიდერები

ორგანიზაციის ლიდერებს ესმით, რომ ამოცანის განსახორციელებლად ორმხრივი ნდობა და ერთობლივი გუნდური მუშაობაა საჭირო. პროფესიული კლიმატის შექმნის მცდელობას მთელი სამეთაურო რგოლი და ლიდერთა გუნდი უჭერს მხარს. მაგალითად, კაპელანები ლიდერებს რჩევებს აძლევენ მორალურ და ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით. მათ შეუძლიათ, პრევენციული ზომები გაატარონ და დაეხმარონ პერსონალს მორალური, ეთიკური, სოციალური და სულიერი საკითხების მოგვარებაში. ეთიკურ ასპექტში, ლიდერებს ასევე მხარში

უდგას შტაბის იურისტი, რაც გულისხმობს აშშ-ს კოდექსის, თავდაცვის დეპარტამენტისა და არმიის პოლიტიკისა და რეგულაციების განმარტებას.

ვითარების გაცნობიერების ხელშეწყობის მიზნით, ორგანიზაციის ლიდერებს უნდა ჰქონდეთ საშუალებები პროფესიული კლიმატის შეფასებისთვის. მათ უნდა იცოდნენ, როგორ შეცვალონ პირობები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს პროფესიულ სტანდარტებს. ამჟამად, არმიაში არ მოიპოვება ეფექტური რესურსები ამ საქმეში ლიდერების დასახმარებლად.

არმიის ორგანიზაციებში, სამხედრო და სამოქალაქო პირები განვითარების თანმიმდევრულ და პროგრესულ გზას გადიან განათლებაში, წვრთნასა და დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, რითიც ისინი გამოცდილებას იმდიდრებენ. ამ აქტივობებში, ორგანიზაციის ლიდერები ხელს უწყობენ მტკიცე ხასიათის გამომუშავებას: ისინი გეგმავენ და რეპეტიციებს აწყობენ სხვადასხვა მოქმედებების შესრულებაში, რომლებიც ეთიკურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, შემდეგ კი განიხილავენ შეფასების შედეგებს.

არმიის სკოლების ხელმძღვანელები კურიკულუმის შექმნისა და გავითარების პროცესს (რაც წვრთნის დეველოპერების პასუხისმგებლობაა) კურიკულუმის დანერგვასთან (რაც ინსტრუქტორების საქმეა) აკავშირებენ. ამრიგად, მათ უნდა იცოდნენ, რატომ და როგორ შეასრულონ ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის პასუხისმგებლობა. ინსტრუქტაჟის ჩატარების პროგრამები უნდა მოიცავდეს ექსპერიმენტულ, აქტივობაზე დაფუძნებულ სწავლებას ეთიკის ჩარჩოებში მოქცეული შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად. ეს საშუალებას მისცემს კურსის მსმენელებს, არმიის ეთიკის მორალური პრინციპები საკუთარ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებში ასახონ.

იდენტობა - არმიის სანდო პროფესიონალები - უშუალო ლიდერები და მიმდევრები

ჩვენ, როგორც უშუალო ლიდერები, გავლენას ვახდენთ მიმდევრებზე. ამავედროულად, ყველაზე სათითაოდ, გავლენას ახდენენ ის ადამიანები, ვისთანაც შეხება გვიწევს. დადებითი გავლენის მოხდენა ჩვენი ეთიკური

პასუხისმგებლობა და არ უნდა მივცეთ საკუთარ თავს იმის საშუალება, ვინმეს მხარი დავუჭიროთ, დაგვაძალონ ან მივიღოთ ის, რასაც არასწორად ვთვლით. სანდო ლიდერები და მიმდევრები რომ ვიყოთ, მთელი ჩვენი ცხოვრების სტილით არმიის ეთიკას უნდა ვიცავდეთ.

გაწრთნით, რჩევების მიცემითა და სწავლებით ლიდერები დადებითად მოქმედებენ სხვებზე, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი მხოლოდ კი არ ემორჩილებიან კანონებსა და რეგულაციებს, არამედ ცხოვრებაში ატარებენ და იცავენ არმიის ეთიკის მორალურ პრინციპებს. როგორც „აირჩიეთ ღირებულებებშია“ აღნიშნული, ლიდერებს უნდა სურდეთ და შეეძლოთ თავიანთი მიმდევრების ქცევაში ეთიკურ ასპექტებს გაუსვან ხაზი, შთააგონონ და ეთიკური სრულყოფილებისკენ სწრაფვის მოტივაცია გაუჩინონ მათ. ამ ყველაფრის მიღწევა ღირებულებებით მართული სამოქმედო გეგმებითაა შესაძლებელი, რომელთა შესრულებისა და შეფასების შემდეგ, გაიზრდება სახმელეთი ჯარების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის ხასიათის სიმტკიცე, კომპეტენცია და საქმისადმი თავდადება.

დაბოლოს, ჩვენ პასუხისმგებელი ვართ, დავიცვათ და მუდმივად შევინარჩუნოთ ჩვენი საერთო იდენტობა. მოვალეობების შესრულებისას, ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ ამოცანის წარმატებისთვის და სრულყოფილებისკენ ვილტვით. ჩვენ ვაფასებთ ჩვენს წეს-ჩვეულებებს, მანერებსა და ტრადიციებს; ვიცავთ სტანდარტებსა და დისციპლინას; მტკიცედ ვდგავართ არასწორი ქცევის პრევენციისათვის, არაეთიკური პრაქტიკის შესაჩერებლად.

შემდეგ ეტაპზე გადასვლა - დანერგვა და შეფასება

მომდევნო ეტაპი გახლავთ არმიაში მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბების მონახაზის საფუძვლიანი დანერგვა მთელი რიგი ინიციატივების საშუალებით (იხ.დანართი B). არმიის ლიდერები, თავიანთი პასუხისმგებლობებისა და უფლებების

ფარგლებში, ზომებს მიიღებენ აღნიშნული მონახაზის დანერგვის მხარდასაჭერად. ეს ინიციატივები გახლავთ არმიის იმ ორგანიზაციებისა და დარგობრივი ექსპერტების რეკომენდაციები, რომლებიც არმიის მასშტაბით, მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბების პროექტის ჯგუფში არიან გაწევრიანებული.

დანერგვის პარალელურად, ჩვენ შევაფასებთ, რამდენად წარმატებულია მონახაზი ჩანაფიქრის ხორცშესხმის თვალსაზრისით. სტრატეგიული ლიდერები არმიას აფასებენ, როგორც ინსტიტუტს და მის დირექტივებს, პოლიტიკას, პროგრამებსა და სისტემებს, რომლებიც გავლენას ახდენენ არმიაში არსებულ ნდობის კულტურაზე. ორგანიზაციის ლიდერები აფასებენ, რამდენად კარგად ახერხებენ ისინი თავიანთ ქვედანაყოფებში პროფესიული კლიმატის შექმნას და გაძლიერებას. უშუალო ლიდერები კი მათი მიმდევრების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე დაკვირვებით აფასებენ შესრულების დონეს.

არმიის პროფესიული განვითარებისა და ლიდერის ჩამოყალიბების ფორუმი დანერგვისა და შეფასების სინქრონიზებას უზრუნველყოფს. ამ ფორუმის ფარგლებს გარე მოქმედებების (რომლებზეც ცალკე ნებართვის გაცემია საჭირო) კოორდინირებასა და პერსონალით დაკომპლექტებაზე შესაბამისი სამეთაურო რგოლი იზრუნებს.

დასკვნა

არმიაში მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბების მონახაზის დანერგვა ხდება არმიაში ლიდერის ჩამოყალიბების სტრატეგიისა და არმიის ეთიკის შესაბამისად. მონახაზი ვრცელდება ტოტალურ ძალის (რეგულარული არმია, რეზერვი და ეროვნული გვარდია) ყველა სამხედრო და სამოქალაქო პირზე. მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა ნდობის კულტურა არმიაში, პროფესიული კლიმატი არმიის ორგანიზაციებში და ინდივიდუალური ჩართულობა ჩვენი საერთო იდენტობის დასაცავად. განათლება, წვრთნა და გამოცდილება თანაბარ წვლილს შეიტანს მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბებაში, კომპეტენციის გაღრმავებასა და ჩართულობის გაზრდაში. ყველა ლიდერი აღიარებს და იღებს საკუთარ თავსა და სხვებში მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბების პასუხისმგებლობას. მტკიცე ხასიათის წარმატებით ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ერთიანი გუნდის შექმნასა და ორმხრივი ნდობის წარმოშობას, რაც ამოცანით მართვის პირველი პრინციპია.

**დანართი A: ეპიზოდი - არმიაში მტკიცე ხასიათის
ჩამოყალიბების ზოგადი მონახაზი პრაქტიკაში**

წინამდებარე ეპიზოდი ასახავს იმ ზოგად შედეგს, როცა არმიის ნდობის კულტურა, ორგანიზაციის პროფესიული კლიმატი და საერთო იდენტობა ერთად მუშაობს იმისათვის, რომ განათლების, წვრთნისა და გამოცდილების საშუალებით, წვლილი შეიტანოს ჯარისკაცის ხასიათის სიმტკიცის ჩამოყალიბებაში, კომპეტენციის ამაღლებასა და საქმისადმი თავდადების სურვილის გაჩენაში.

სერჟანტი ასრულებს სამსახურს სამწყობრო მომზადების სერჟანტის (პირითადი საბრძოლო მომზადების კურსი) თანამდებობაზე ფორტ ჯექსონში, სამხრეთ კაროლინა. ის მიწვეულია 82-ე საჰაერო სადესანტო დივიზიაში, ოცეულის სერჟანტის პოზიციაზე.

საშუალო სკოლაში სწავლისას, როდესაც ის ადგილობრივ ოლქში, „ოქროს რაინდების“ პარაშუტისტთა შოუს დაესწრო, მოტივაცია გაუჩნდა, არმიაში გაწევრიანებულიყო. ის არმიის პარაშუტისტთა გუნდის რამდენიმე წევრს გაესაუბრა, რომელთაც შთააგონეს, რომ თავისი ქვეყნის ჯარისკაცი გამხდარიყო.

ჯარში გაწვევის ოფიცერი მას დაეხმარა, რომ საბუთების შეტანის გადაწყვეტილება მიეღო. ის გაესაუბრა მისი ოჯახის წევრებს, შეამოწმა მისი აკადემიური, მენტალური, ფიზიკური და სამედიცინო კვალიფიკაცია და ვარგისიანობა. მან ჯარში გაწვევისათვის საჭირო ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა და ფორტ ბენინგში, ჯორჯიის შტატში ჩავიდა საწყისი სამხედრო მომზადების გასავლელად.

სამწყობრო მომზადების სერჟანტებმა ყველა მოხალისეში სიამაყე და დისციპლინის დაცვის სურვილი გააღვიძეს. მან წვრთნა ყველა სტანდარტის დაცვით გაიარა და სრულყოფილებისკენ სწრაფვა ისწავლა. მას ასწავლიდნენ, როგორ ესროლა სწორად, როგორ გადაადგილებულიყო და დაემყარებინა კავშირი. ის მიხვდა, რომ შეეძლო ლიდერებსა და

თანაგუნდელებს ნდობოდა. მათ კურსი ისე გაიარეს, როგორც ერთიანმა გუნდმა.

საჰაერო სადესანტო სკოლის შემდეგ ის 173-ე საჰაერო სადესანტო ბრიგადაში დაინიშნა, რომელიც ვიჩენცაში, იტალიაში იყო განლაგებული, მოგვიანებით კი, სხვაგან გადაისროლეს. ბრძოლაში ის მოულოდნელი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რადგან ადგილობრივი წეს-ჩვეულებები და კულტურა მას ხელს უშლიდა არმიის ეთიკის მიხედვით ცხოვრებასა და მის დაცვაში. მზრუნველი ლიდერებისა და თანამებრძოლების დახმარებით, ორგანიზაციის პროფესიული კლიმატის ფონზე, მან შეინარჩუნა სულიერი სიმბნევე და მისი საქმიანობაც წარმატებით მიმდინარეობდა.

აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის ვადის ამოწურვის შემდეგ, მას სერჟანტის წოდება მიანიჭეს და 1-ლ ქვეით დივიზიაში გადაიყვანეს. ის შესანიშნავად უძღვებოდა დისლოკაციის ადგილზე გამართულ წვრთნებს, შემდეგ კვლავ გადაისროლეს საბრძოლო ზონაში, ათეულის მეთაურის რანგში. მისმა ქვედანაყოფმა მოწინააღმდეგესთან დიდი საბრძოლო სულისკვეთება გამოიჩინა. მისმა გუნდმა, ორმხრივ ნდობასა და გუნდურ მუშაობაზე დაყრდნობით, წარმატებით გაართვა თავი საბრძოლო ამოცანების სწორად განხორციელებას. მისმა მოღვაწეობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. შედეგად, ის სამწყობრო მომზადების სერჟანტის თანამდებობაზე დანიშნეს.

ის სიამოვნებით ასრულებდა სამხედრო სამსახურს, პასუხობდა შემხვედრ გამოწვევებს და ძლიერი არმიისთვის წვრთნიდა ახალგაზრდა ჯარისკაცებს. დღეს ის, როგორც ყველა ამერიკელი, უკვე სულმოუთქმელად მოელის ფორტ ბრეგში დაბრუნებას და იქ ოცეულის სერჟანტის მოვალეობის შესრულებას. მას მოსწონს ჯარისკაცად ყოფნა.

ის მოწოდებულია, იყოს არმიის სანდო პროფესიონალი, ღირსეული სამხედრო თავისი ქვეყნის თავდაცვის სადარაჯოზე, არმიის ექსპერტი სამხედრო სპეციალობაში, ჯარისკაცების ინტერესებისა და მასზე მინდობილი რესურსების დამცველი.

ახალმა ბატალიონმა მას სპონსორი დაუნიშნა, რომელიც მის და მისი ცოლ-შვილის ტრანსპორტირებასა და დაბინავებას უზრუნველყოფს. მისი ასეულის მეთაურმა, ასეულის სერჟანტმა და ოცეულის მეთაურმა პირადად მიულოცეს ქვედანაყოფის რიგებში გაწევრიანება. დაბინავების შემდეგ, მისი პირველი ორიენტირი მართვის ფილოსოფიაა; ქვედანაყოფზე მორგებული ამოცანა; სტანდარტული სამოქმედო პროცედურები; ახლო წარსულში ჩატარებული, მიმდინარე და მომავალი წვრთნები. ქვედანაყოფი მას და მის ოჯახს დახვედრა-გაცილების წვეულებაზე გაიცინობს, რომელიც იქ ყოველთვიურად იმართება.

ახალი მოვალეობების შესრულებისას, ის გამოიყენებს ოფიციალურად თუ არაოფიციალურად გავლილ წვრთნასა და მიღებულ რჩევებს, მუდმივი კავშირი ექნება თავის სანდო მენტორთან, ყოფილ პირველი კლასის სერჟანტთან, 173-ედან. როგორც არმიის ლიდერი, ის იზრუნებს, რომ საკუთარ თავსა და სხვებში მტკიცე ხასიათი გამოიმუშაოს, კომპეტენცია აიმაღლოს და საქმისადმი თავდადება გამოავლინოს. ის მიჰყვება ამოცანით მართვის ფილოსოფიას და ეცდება, იზრუნოს ჯარისკაცების მზადყოფნაზე, ამოცანის შესასრულებლად. მან იცის, რომ ეს მისი უპირველესი მორალური მოწოდებაა.

მთელი თავისი სამხედრო კარიერის მანძილზე, ჯარში გაწევრიანებიდან დაწყებული, წვრთნით, განათლებითა და დაკავებული თანამდებობებით დამთავრებული, მან ისწავლა, რომ მოვალეობის შესრულებისას თუ თავისუფალ დროს, ფორმაში თუ უფორმოდ, ცხოვრების ყველა ასპექტში, ის ვალდებულია მიჰყვეს და დაიცვას არმიის ეთიკის მორალური პრინციპები, არმიის ღირებულებების ჩათვლით.

ლიდერის ჩამოყალიბების პროცესი, რომელმაც ის ამ მდგომარეობამდე მიიყვანა, მისი კარიერის მანძილზე, კვლავაც გაგრძელდება. პენსიაზე გასვლის ან ჯარის აქტიური ცხოვრებიდან ჩამოშორების შემდეგ, ის თავის ქვეყანას და საზოგადოებას ისე მოემსახურება, როგორც სამუდამო ჯარისკაცი. ის ერთდროულად ლიდერიცაა და მიმდევარიც, არმიის სანდო პროფესიონალი.

ამ შედეგს რომ მიაღწიონ, სტრატეგიულმა ლიდერებმა გამჭვირვალე პოლიტიკა უნდა გაატარონ, რაც გავლენას მოახდენს ჯარში გაწვევაზე, პროფესიულ სამხედრო განათლებასა და წვრთნაზე, თანამდებობებზე დანიშვნაზე, ჯილდოებსა და დაწინაურებებზე, რასაც თავისი წვლილი შეაქვს არმიაში ნდობის კულტურის ჩამოყალიბებაზე. ორგანიზაციის ლიდერები აფასებენ და ოფიციალურად ადასტურებენ იმას, რომ განათლება, წვრთნა და გამოცდილება - თანმიმდევრულად და პროგრესულად - აკმაყოფილებდეს პროფესიულ კლიმატში არსებულ სტანდარტებს და ასახავდეს არმიის ეთიკას, ფილოსოფიასა და ამოცანით მართვის დოქტრინას. უშუალო ლიდერები პირადად მიჰყვებიან და იცავენ არმიის ეთიკას, შთააგონებენ, წვრთნიან, არიგებენ, მენტორობენ და ზრუნავენ, რომ მათი ქვემდგომები მზად იყვნენ სამუდამო ჯარისკაცის სტატუსის ღირსეულად სატარებლად.

დანართი B: ინიციატივები

არმიის ნდობის კულტურა - სტრატეგიული ლიდერები

არმიის სტრატეგიული ლიდერები პასუხისმგებელი არიან, გაზარდონ ნდობის კულტურა და გააძლიერონ არმია, როგორც ინსტიტუტი. სტრატეგიული ლიდერები შეიმუშავენ პოლიტიკას, პროგრამებსა და სისტემებს, რომლებიც გამოკვეთს არმიის კულტურას, განსაზღვრავს რეკრუტირების სტრატეგიას, ხელს უწყობს ორგანიზაციის პროფესიული კლიმატის შექმნას და მოტივაციას აძლევს ჯარისკაცებს, გაიზიარონ და დაიცვან ჩვენი საერთო იდენტობა.

ინიციატივა 1: სტრატეგიული ლიდერის გავლენა არმიის ნდობის კულტურაზე პროფესიული სამხედრო განათლების/სამოქალაქო განათლების საშუალო დონიდან უნდა ისწავლებოდეს, ზედა დონეებზე კი მისი განვრცობა ხდებოდეს. ეს განავითარებს სტრატეგიულ აზროვნებას და ლიდერობის ყველა დონეზე, ხელს შეუწყობს სტრატეგიული გადაწყვეტილებების ეფექტების კარგად გაცნობიერებას.

ინიციატივა 2: გადახედეთ და იზრუნეთ იმაზე, რომ მტკიცე ხასიათის ჩამოყალბებასთან დაკავშირებული მითითებები, პოლიტიკა, რეგულაციები, კონცეფცია, დოქტრინა და სტრატეგიული კომუნიკაციები არმიის პროფესიის დოქტრინას შეესაბამებოდეს. ეს მოიცავს არმიის პროფესიისა და არმიის ლიდერობის დოქტრინის სინქრონიზებას, ასევე, იმ პოლიტიკის ან პრაქტიკის გამოსწორებას, რომელიც ხელს უშლის ნდობის წარმოქმნას.

არმიის მიერ ამერიკელი ხალხისთვის გაგზავნილ მესიჯში, რაც ოფიციალურ გამოცემებსა და ყველა მედია-საშუალებაში გაჟღერდება, აღნიშნული უნდა იყოს არმიის, როგორც სანდო სამხედრო პროფესიის, ბუნება, რომელიც ღირსეული სამსახურის გაწევისთვისაა თავდადებული, კონსტიტუციის დასაცავად და მხარდასაჭერად.

არმიის გაწვევის ოფიცრებს უშუალო კავშირი აქვთ ამერიკის ახალგაზრდებთან და მათ მშობლებთან. მათ საგულაგულოდ არჩევენ, როგორც არმიის - სანდო სამხედრო პროფესიის - წარმომადგენლებს. რადგან მომავალი ჯარისკაცების მოსაზიდად, განათლება, დაფინანსება და სხვა უპირატესობები ასე მნიშვნელოვანია, საჭიროა ისინი ისე წარმოჩინდეს, როგორც ხელშემწყობი საშუალებები ქვეყნის თავდაცვის ღირსეული სამსახურისთვის.

ინიციატივა 3: შეიმუშავეთ და პროპაგანდა გაუწიეთ არმიის, როგორც სანდო სამხედრო პროფესიის, სტრატეგიულ მესიჯებს, როგორც მოწოდებას საპატიო სამსახურისთვის. ამავდროულად, არმია გაწვევის ოფიცრის მომზადებითა და მისთვის სერტიფიკატი გადაცემით მას ანიჭებს პასუხისმგებლობას, შთააგონოს და მოტივაცია გაუჩინოს ახალგაზრდებს არმიაში გაწევრიანებისთვის.

ორგანიზაციის პროფესიული კლიმატი -

ორგანიზაციის ლიდერები

არმიის ორგანიზაციის ლიდერები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი ორგანიზაციების მზადყოფნასა და სწორი გზით ამოცანის განხორციელებაზე. ისინი ქმნიან და მუდმივად განამტკიცებენ ორგანიზაციის პროფესიულ კლიმატს, რაც საჭიროა ორმხრივი ნდობისა და ერთობისთვის. სიტუაციის უკეთ გასაცნობიერებლად, ორგანიზაციის ლიდერებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, შეაფასონ, რა მდგომარეობაშია პროფესიული კლიმატი და გაარკვიონ, როგორ გამოასწორონ პირობები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს პროფესიულ სტანდარტებს. ამჟამად, არმიას არ გააჩნია ამისათვის საჭირო ეფექტური რესურსები. ამრიგად, არმიამ უნდა შეისწავლოს, შეიმუშაოს და დაამტკიცოს ის რესურსები, რომლებიც ლიდერებს თავიანთი ორგანიზაციების პროფესიული კლიმატის შეფასებაში დაეხმარება.

ინიციატივა 4: ლიდერებმა უნდა იცოდნენ, რატომ და როგორ შექმნან და შეაფასონ თავიანთი ორგანიზაციების პროფესიული კლიმატი. მათ საკმარისი რესურსები უნდა ჰქონდეთ იმისათვის, რომ შეაფასონ და გამოასწორონ ის პირობები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს პროფესიულ სტანდარტებს.

არმიის ორგანიზაციები უზრუნველყოფენ იმას, რომ პროფესიული სამხედრო განათლება/სამოქალაქო განათლების სისტემა ისეთ ლიდერებს ამზადებდეს, რომლებიც ამ რთულ სამყაროში თავს გაართმევენ გამარჯვების მიღწევით გაჩენილ ეთიკურ გამოწვევებს. არმიის ეთიკის სწავლება და გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში მისი გამოყენება პროფესიული სამხედრო განათლების/სამოქალაქო განათლების სისტემისა და ორგანიზაციის წვრთნის გეგმებში შედის. ორგანიზაციის ლიდერები აკონტროლებენ არმიის სკოლებში მიმდინარე სასწავლო პროცესებს, რათა მათ ისეთი ნაკადი გამოუშვან, რომლებსაც ამოცანისთვის თავდადება შეეძლება.

ინიციატივა 5: პროფესიული სამხედრო განათლება/სამოქალაქო განათლების მიღების პროცესისა და ორგანიზაციის წვრთნების დროს, ეთიკური გამოწვევები მოქმედებებთან და სავარჯიშოებთანაა ინტეგრირებული, რათა გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვის, რეპეტიციების, აღსრულებისა და მოქმედების შემდგომი მიმოხილვების დროს მოხდეს მათი გათვალისწინება.

ჩვენ, როგორც პროფესიული ღირსებების დამცველები, მუდმივად ვიმდიდრებთ დარგობრივ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, სერტიფიკატებს ვაძლევთ სამხედრო პირებს. სერტიფიკატი ამოწმებს და ადასტურებს არმიის მოსამსახურის მტკიცე ხასიათს, კომპეტენციასა და თავდადებას, რაც პასუხისმგებლობებისა და დაკისრებული მოვალეობების წარმატებით შესრულებისთვისაა საჭირო.

ინიციატივა 6: სერტიფიკატების გადაცემის თითოეული ღონისძიება (მაგალითად, შესრულების შეფასება, წვრთნის დასრულება, დაწინაურება, შეიარაღებულ ძალებში ხელმეორე ვადით გაწევრიანება, პასუხისმგებლობის შეცვლა, ა.შ.) უნდა ადასტურებდეს იმას, რომ პირმა, რომელსაც სერტიფიკატი გადაეცემა, გამომამჟღავნა მტკიცე ხასიათი, კომპეტენცია და საქმისადმი თავდადება, შესრულების სტანდარტების შესაბამისად. ახალი სერტიფიკატი ყოველთვის უნდა შეჰქონდეთ პირად საქმეში.

იდენტობა - უშუალო ლიდერები

ჩვენი საერთო იდენტობის დაცვის, თვითგანვითარებისა და ცხოვრების ბოლომდე სწავლის სურვილი ინდივიდუალური მოტივაციის საფუძველზე ჩნდება, რომელსაც გუნდის ერთობლივი ძალისხმევა, ზემდგომთა, თანასწორთა და ქვემდგომთა დარიგება და კონსულტაცია ემატება. მენტორობა ხელს უწყობს თვითგანვითარებაზე კონცენტრირებას პროფესიული მიზნების მისაღწევად. შემთხვევის ანალიზის განხილვისას, არმიის სამხედრო და სამოქალაქო პირებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ მომენტებზე, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში წინასწარვე მოხდა მომავალი ეთიკური პრობლემების განსაზღვრა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მათი გათვალისწინება. საყურადღებოა ის მაგალითებიც, სადაც ეთიკური პრობლემების მოგვარების გზები უარყვეს.

ინიციატივა 7: არმიის ლიდერები აცნობიერებენ და აღიარებენ თავიანთ პასუხისმგებლობას - საკუთარ თავსა და სხვებში გამოიმუშაონ მტკიცე ხასიათი. ლიდერებს ასწავლიან, რატომ და როგორ უნდა მოახერხონ სამხედრო და სამოქალაქო პირების შთაგონება და მოტივირება, რომ დაიცვან ჩვენი საერთო იდენტობა, იმუშაონ თვითგანვითარებასა და სიცოცხლის ბოლომდე სწავლაზე, გახდნენ მუდმივი ჯარისკაცები. გადაწყვეტილებების მიღებისა და მოქმედების პროცესში, დარიგება, კონსულტაცია და მენტორობა ეთიკურ საკითხებსაც მოიცავს.

შეფასება

ამოცანით მართვის ფილოსოფიისა და დოქტრინის ფარგლებში, „ვითარების შესახებ საერთო აზრის ჩამოყალიბების“ პრინციპი უწყვეტ ძალისხმევას მოითხოვს, რათა დავადგინოთ წარსული და დღევანდელი გარემოებების სპეციფიკა და შევაფასოთ მათი გავლენა ოპერაციის ყველა ფაზაზე. ვითარების გაცნობიერების საფუძველზე, ლიდერს (გადაწყვეტილების მიმღებს) შეუძლია შესწორებები შეიტანოს ამოცანაზე მორგებულ ბრძანებებში და ასე განაგრძოს პროცესი ჩანაფიქრის სრულ განხორციელებამდე.

ინიციატივა 8: შეიმუშავეთ და დანერგეთ მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბების შეფასების პროცესი. ამით თქვენ განსაზღვრავთ არმიაში მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბების მონახაზის ეფექტურობის დონეს. შეფასება ეხება ხელმძღვანელობის ყველა ეშელონს: სტრატეგიულს (არმიის ინსტიტუტი და ნდობის კულტურა), ორგანიზაციულს (პროფესიული კლიმატი) და უშუალოს (იდენტობა). შეფასებით დადგინდება ერთობლივი გუნდური მუშაობისა და ორმხრივი ნდობის ეფექტურობა როგორც არმიის ფარგლებში, ისე, ამერიკელ ხალხთან ურთიერთობისას.